



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია



№ 03/2476-15

“ 28 ” 10 2015 წ

მედიის განვითარების ფონდს,
საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას,
ბალტიისა და შავი ზღვის ალიანსს,
საფარს,

კონსტიტუციის 42 მუხლს,
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს,
საქართველოს რეფორმების ასოციაციას,
იდენტობას,

მედია კლუბს,
არამაღადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტს,
საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) გაცნობებთ,
რომ განიხილა თქვენი 2015 წლის 23 ოქტომბრის მომართვა, რომელშიც ითხოვთ კომისიამ
რეაგირება მოახდინოს ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირ ობიექტივის“ სამაუწყებლო ბადეში
ყოველდღიურად წამების კადრების ფრაგმენტების გაერცელებისა და გადაცემის, წამყვანის მიერ
ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ პირდაპირი ფიზიკური ანგარიშსწორების
საჯაროდ მოწოდების გამო.

კომისიამ შეისწავლა ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირ ობიექტივის“ სამაუწყებლო ბადეში
განთავსებული და თქვენს მომართვები მოყვანილი გადაცემები, გამოავლინა 2015 წლის 27
ოქტომბერს 20:00 საათიან წყალგამყოფამდე გასული გადაცემის მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან
შეუსაბამობა, რის თაობაზეც აცნობა ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირ ობიექტივის“ და მოსთხოვა
სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ეთერში 2015 წლის
27 ოქტომბერს გადაცემული წამების საწინააღმდეგო პროგრამის, ასევე ყველა სხვა მომავალში
განსათავსებელი მსგავსი პროგრამების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯეროვანი რედაქტირება
და მათი მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, ამავე
კოდექსის შესაბამისად განთავსება სამაუწყებლო ბადეში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,
მაუწყებელი სარგებლობს სარედაქციო დამოუკიდებლობით, კონსტიტუციითა და მოქმედი
კანონმდებლობით გარანტირებულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ხოლო ცენზურა
აკრძალულია. ამ საკანონმდებლო ჩარჩოში კომისიის, როგორც საჯარო დაწესებულების როლი და
მნიშვნელობა მაუწყებლის საქმიანობის შინაარსობრივ რეგულირებაში მინიჭუმადება დაყვანილი
(საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ

ადამიანისა და მოქალაქების ღირსებისა და მირითად თავისუფლებათა შემლახავი და ამავდროულად უხამსი გადაცემის ეტერში გამთავსების შემთხვევაში). შედეველობაში გვაქვს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59¹ მუხლი, რომლის შესაბამისადაც, მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა და თავად ამ კანონით განსაზღვრული მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ შეიძლება კომისიის, მეტიც, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს.

შეგახსენებთ, რომ მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტი თავის დროზე („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიღების პერიოდები) მაუწყებელთა და არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობითა და მათი წინადადებების საფუძველზე იქნა დამკვიდრებული. კომისია განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირების საკითხს, მით უფრო, რომ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შინაარსობრივი რეგულირების საკანონდმებლო ჩარჩო, ვრაქტიკულად, არ არსებობს.

კომისიას, ასევე, გათავისებული აქვს, რომ საჭიროა პროპორციულობისა და ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და უურნალისტის პროფესიულ თავისუფლებას, ზოგადად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა პირთა, უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას შორის. კომისიას გათავისებული აქვს მაუწყებლის როლი ინფორმაციის თავისუფლების, მათ შორის შინშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, ზოგადად - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის პროცესში, თუმცა მიაჩნია, რომ მაუწყებლმა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დირექტულებები უნდა დაამკვიდროს ისე, რომ არ შელახოს სხვათა, მათ შორის არასრულწლოვან მოქალაქეთა უფლებები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიამ შესაბამისი განმარტებები მისცა მაუწყებელს თქვენი მომართვის მეორე საკითხთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირ ობიექტიებს“ განემარტა, რომ უურნალისტის მიერ პროგრამაში გამოითქმული მოსაზრება ან იდეა, მათ შორის ცალკეული სოციალური (პოლიტიკური) ჯგუფების მიმართ წევატიური დამოკიდებულების აგრესიული ფორმით გამოხატვა უურნალისტის პროფესიული თავისუფლების, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიუდებლობის ფრგლებშია და დაცულია სიტყვისა და გამოხატვის კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, უურნალისტმაც და მაუწყებელმაც უნდა დაიცვან გამოხატვის სტანდარტი, ვინაიდან, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა წიმის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების ამკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას.

პატივისცემით,

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარე